ITALIAN TRADE AGENCY
ICE - Italian Trade Commission
Trade Promotion Office of the Italian Embassy

Ufficio ICE di Baku
İtalyan Müəssisələrinin Təşviqi və Beynəlmiləlləşdirilməsi Təşkilatı
İtaliya Səfirliyi Əlaqələrinin İnkişafi Üzrə Departament

თარიღი: 01/12/2022
პროტოკოლის ნომერი: 0140948/22

COD. TA. N1/2022

კონკურსი იტალიის საგარეო ვაჭრობის სააგენტო ICE-ს ბაქოს ოფისის თბილისის წარმომადგენლობაში მარკეტინგისა და პრომოციის სფეროში ბაზრის კვლევის ანალიტიკოსის თანამდებობაზე (ხელშეკრულების ტიპი: უვადო)

სააგენტო ICE-ს გენერალური დირექტორის 2022 წლის 17 ნოემბრის ავტორიზაცია N0135115/22. კონკურსი ხორციელდება სააგენტო ICE-ს 2021 წლის 21 სექტემბრის 32-ე განკარგულების საფუძველზე.

იტალიური კომპანიების უცხოეთში პოპულარიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის სააგენტო ICE წარმოადგენს უწყებას, რომლის მეშვეობით მთავრობა ხელს უწყობს უცხოურ ბაზრებზე იტალიური კომპანიების გაძლიერებას, მათ ეკონომიკურ და კომერციულ განვითარებასა და, ასევე, უცხოური ინვესტიციების გაძლიერებას.
სააგენტო ICE საქმიანობას ახორციელებს იტალიის საგარეო საქმეთა და საერთაშორისო სამინისტროსთან კოორდინირებით. მისი საქმიანობა მოიცავს ინფორმაციის მიწოდებას, დახმარებას, კონსულტაციის გაწევას, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებასა და პოპულარიზაციას.
აზერბაიჯანში სააგენტო ICE ოპერირებს ბაქოს ოფისის მეშვეობით, საქართველოში კი - იტალიის საელჩოსთან არსებული წარმომადგენლობის მეშვეობით. დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: www.ice.it.
ICE-ს ბაქოს ოფისის თბილისის წარმომადგენლობა შეარჩევს 1 (ერთ) ბაზრის კვლევის ანალიტიკოსს მარკეტინგის, კომპანიების პოპულარიზაციასა და დახმარებასთან დაკავშირებული საქმიანობისთვის.

ICE – Italian Trade Commission
Trade Promotion Section of the Italian Embassy
Landmark 1, 5° piano
Via Nizami 96E
Tel.: +994 12 4971793/4843/6032
Mob.: +994 51 5853315
Fax: +994 12 4971794
E-mail: baku@ice.it
Web: www.ice.it www.twitter.com/ITABaku
Cod. Fisc. / Part. Iva 12020391004

1. მოვალეობები და პასუხისმგებლობა

ბაზრის კვლევის ანალიტიკოსის საქმიანობა მოიცავს:

- კომერციული გამოფენა-ბაზრობების, ასევე, სემინარების, ვორქშოპების, შეხვედრების, იტალიიდან საქართველოში და საქართველოდან იტალიაში მეწარმეების მისიებისა და დელეგაციების ვიზიტების დაგეგმვასა და ორგანიზებას, ასევე, ოფისის დირექტორის მეთვალყურეობით ბიუჯეტის მომზადებასა და მართვას;
- საქონელთმცოდნეობის სხვადასხვა სფეროში ბაზრის კვლევასა და შესწავლას;
- იტალიური კომპანიების დახმარებას საქართველოში ინტერნაციონალიზაციის მიზნით, კერძოდ, კომერციული პარტნიორებისა და ინვესტიციების შესაძლობლობების მოძიების კუთხით;
- იტალიური კომპანიების დახმარებას იურიდიულ, საბაჟო, ფისკალურ და ხელშეკრულების მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებში.

2. სამსახურის ადგილმდებარეობა

ICE-ს ბაქოს ოფისის თბილისის წარმომადგენლობა, ჩიტაძის ქ. 3ა.

3. სამუშაო გრაფიკი

სრული განაკვეთი: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 09:00სთ-დან 18:00სთ-მდე. შესვენების დრო: 13:00სთ-დან 14:00სთ-მდე.

4. კლასიფიცირება და ნომინალური ანაზღაურება

შერჩეული კანდიდატის სამსახურში აყვანა ხდება განუსაზღვრელი ვადით გამოსაცდელი პერიოდის (6 თვე) გასვლის შემდგომ. მისი კლასიფიკაცია შეესაბამება მარკეტინგის მე-2 დონის ბაზრის ანალიტიკოსის (Trade Analyst) პოზიციას.

12 (თორმეტი) თვის საწყისი ნომინალური თანამდებობრივი სარგო შეადგენს 1100 ევროს. ანაზღაურება განხორციელდება ევროში.

5. ზოგადი შესარჩევი კრიტერიუმები

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან კანდიდატები, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ კრიტერიუმებს:

- კანდიდატის ასაკი შეადგენს არანაკლებ 18 წელს;

ICE – Italian Trade Commission
Trade Promotion Section of the Italian Embassy
Landmark 1, 5° piano
Via Nizami 96E
Tel.: +994 12 4971793/4843/6032
Mob.: +994 51 5853315
Fax: +994 12 4971794
E-mail: baku@ice.it
Web: www.ice.it www.twitter.com/ITABaku
Cod. Fisc. / Part. Iva 12020391004

- აქვს უმაღლესი განათლება - საბაკალავრო ან სამაგისტრო განათლების ან სპეციალიზაციის დიპლომი - იურიდიული, ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური მეცნიერებების, ბიზნესის ადმინისტრირების, საინჟინრო, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ინფორმატიკისა და უცხო ენების მიმართულებით; ან იტალიის უმაღლეს საგანმანათლებლო დოკუმენტთან გათანაბრებული უცხოური უმაღლესი განათლების დიპლომი;
- ცხოვრობს საქართველოში სულ მცირე, ორი წლის განმავლობაში;
- აქვს მუშაობის უფლება (უცხოეთის მოქალაქის შემთხვევაში) და რეგისტრირებულია გადასახადების გადამხდელად საქართველოში. საყურადღებოა, რომ სააგენტო ICE არ ანაზღაურებს სამუშაო ვიზების ღირებულებას.
- აქვს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისთვის შესაბამისი ჯანმრთელობის მდგომარეობა;
- ფლობს სამეტყველო და წერილობით ქართულ ენას მშობლიური ენის დონეზე;
- ფლობს სამეტყველო და წერილობით ინგლისურ ენას პროფესიული ცოდნის დონეზე;
- ფლობს იტალიურ ენას ელემენტარულ დონეზე;
- არ არის ნასამართლევი სისხლის სამართლის საქმეზე და მის მიმართ არ წარმოებს ისეთი სამართლებრივი პროცედურა, რომელიც ითვალისწინებს პრევენციულ ზომებს. ასევე, მის მიმართ არ არის მიღებული სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა სასამართლო გადაწყვეტილება.

6. კრიტერიუმი, რომელიც კანდიდატს უპირატესობას ანიჭებს:

- უპირატესობა მიენიჭება კანდიდატს, რომელსაც აქვს საკონკურსო პოზიციასთან დაკავშირებული პროფესიული გამოცდილება.

7. კონკურსში მონაწილეობის წესი (https://www.ice.it/it/mercati/azerbaijan/baku/avvisi-di-assunzione-georgia)

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა ხელმოწერილი და სკანირებული განაცხადი (ფორმა A), ქვემოთ მითითებული დოკუმენტების ასლებთან ერთად, უნდა გააგზავნონ ელექტრონული ფორმით ელ. ფოსტის მისამართზე: baku@ice.it (ელექტრონული წერილის საგანში უნდა მიეთითოს **COD TA n.1/2022**). განაცხადის გაგზავნის ვადაა: არაუგვიანეს 2022 წლის 31 დეკემბრის 12:00 საათამდე (საქართველოს დროით).

ICE – Italian Trade Commission
Trade Promotion Section of the Italian Embassy
Landmark 1, 5° piano
Via Nizami 96E
Tel.: +994 12 4971793/4843/6032
Mob.: +994 51 5853315
Fax: +994 12 4971794
E-mail: baku@ice.it
Web: www.ice.it www.twitter.com/ITABaku
Cod. Fisc. / Part. Iva 12020391004

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

- განაცხადი (ფორმა A)[1], რომლის ჩამოტვირთვა შესაძლებელია ამ ვებგვერდიდან;
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- უცხოეთის მოქალაქის შემთხვევაში, ბინადრობის მოწმობის ასლი, რომლითაც დასტურდება საქართველოში ბინადრობის სულ მცირე, ორწლიანი პერიოდი და, ასევე, მუშაობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- Curriculum Vitae (ევროპული ფორმატით);
- განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლი;
- პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტების (სტაჟირების სერტიფიკატების, სამუშაო ხელშეკრულებების ან დამსაქმებლის წერილის) ასლი.

კანდიდატურა არ განიხილება, თუ:

- განაცხადში არ ისახება, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს მე-5 პუნქტში მითითებულ ზოგად კრიტერიუმებს;
- განაცხადი არ არის ხელმოწერილი;
- განაცხადი წარმოდგენილია მე-7 პუნქტში მითითებული ვადის გასვლის შემდგომ.

წარმოდგენილი განაცხადების საფუძველზე გონივრულ ვადაში შედგება კანდიდატების სია, რომლებიც დაიშვებიან საკონკურსო გამოცდებზე. დაშვების შესახებ კანდიდატს ეცნობება წერილობით, გამოცდის დანიშნულ თარიღამდე სულ, მცირე 15 დღით ადრე.

8. შერჩევის პროცედურა

კანდიდატებს შეარჩევს ბაქოს ოფისის დირექტორის მიერ დამტკიცებული შესარჩევი კომისია, რომელიც მოქმედებს ქვემოთ მითითებული კრიტერიუმების მიხედვით (აღნიშნული კრიტერიუმები დეტალურად მოცემულია **დანართში n.1**).

წარმოდგენილი დოკუმენტების და პროფესიული გამოცდილების შეფასება (ქულების მაქსიმალური რაოდენობა: 6 ქულა)

- განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები: 2 ქულამდე;

[1] განაცხადში მითითებული უნდა იყოს: გვარი; სახელი; დაბადების თარიღი და ადგილი; ბინადრობის ადგილი; მისამართი, რომელზეც გაიგზავნება შეტყობინებები; ჯანმრთელობის მდგომარეობა; მოქალაქეობა; ქვეყანაში ბინადრობის ხანგრძლივობა; ინფორმაცია მასზედ, რომ პირს არ აქვს ნასამართლეობა (ასევე, უცხოეთშიც) და იტალიასა და უცხოეთში მის მიმართ არ წარმოებს სისხლის სამართლებრივი დევნა; ენების ცოდნა; სამხედრო ვალდებულება; განათლება; პროფესიული გამოცდილება. განათლებისა და პროფესიული გამოცდილების დასადასტურებლად, აუცილებელია შესაბამისი სერტიფიკატების ასლების თანდართვა.

ICE – Italian Trade Commission
Trade Promotion Section of the Italian Embassy
Landmark 1, 5° piano
Via Nizami 96E
Tel.: +994 12 4971793/4843/6032
Mob.: +994 51 5853315
Fax: +994 12 4971794
E-mail: baku@ice.it
Web: www.ice.it www.twitter.com/ITABaku
Cod. Fisc. / Part. Iva 12020391004

- პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები: 4 ქულამდე.

9. წერითი გამოცდა

ა) წერითი გამოცდა (ქულების მაქსიმალური რაოდენობა: 60 ქულა) - ხანგრძლივობა 1სთ და 30წთ.

1. კითხვები, რომელიც საჭიროებს მოკლე პასუხს და მრავალპასუხიანი ტესტი შემდეგ საკითხებზე: ეკონომიკის აქტუალური თემები, ინტერნაციონალიზაციის პოპულარიზაციის იტალიური სისტემა (სააგენტო ICE და სხვა ინსტიტუციები, მათი საქმიანობის არსი და ფორმა), საერთაშორისო მარკეტინგი. გამოცდა ტარდება ინგლისურ ენაზე.
2. მრავალპასუხიანი ტესტი ინგლისურ ენაში.
3. ტექსტის თარგმანი ქართულიდან იტალიურ ენაზე.
4. ტექსტის თარგმანი ინგლისურიდან ქართულ ენაზე.

<u>გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატი მიიღებს წერითი გამოცდის დავალებების შემაფასებელი ქულების საერთო მინიმალურ რაოდენობას (39 ქულას). აქედან, პირველი დავალების შემაფასებელი ქულების რაოდენობა უნდა შეადგენდეს, სულ მცირე, 65%-ს, ხოლო მეოთხე დავალების შემაფასებელი ქულების რაოდენობა - 70%-ს.</u>

10. წერითი გამოცდის ვადები

წერითი გამოცდის ვადები და წესი გამოქვეყნდება სააგენტო ICE-ს ვებგვერდზე (https://www.ice.it/it/mercati/azerbaijan/baku/avvisi-di-assunzione-georgia), ასევე, ისინი ეცნობება კანდიდატებს წერილობით, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია გამოცდების ვადებისა და წესის შესახებ ოფიციალური შეტყობინების ძალის მქონეა.

სავარაუდოდ, წერითი გამოცდა ჩატარდება იანვრის მესამე ან მეოთხე კვირაში (კოვიდ-19 რეგულაციების გათვალისწინებით). თარიღი გამოქვეყნდება გამოცდამდე სულ მცირე 15 დღით ადრე.

ზეპირ გამოცდაზე დაიშვებიან კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ ზღვარის გადალახვისთვის აუცილებელი მინიმალური გამსვლელი ქულების რაოდენობას.

ICE – Italian Trade Commission
Trade Promotion Section of the Italian Embassy
Landmark 1, 5° piano
Via Nizami 96E
Tel.: +994 12 4971793/4843/6032
Mob.: +994 51 5853315
Fax: +994 12 4971794
E-mail: baku@ice.it
Web: www.ice.it www.twitter.com/ITABaku
Cod. Fisc. / Part. Iva 12020391004

11. ზეპირი გამოცდა

ზეპირი გამოცდის ვადები და წესი გამოქვეყნდება სააგენტო ICE-ს ვებგვერდზე, ასევე, წერილობით ეცნობებათ კანდიდატებს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია გამოცდების ვადებისა და წესის შესახებ ოფიციალური შეტყობინების ძალის მქონეა.
სავარაუდოდ, ზეპირი გამოცდა ჩატარდება თებერვლის თვეში (კოვიდ-19 რეგულაციების გათვალისწინებით). თარიღი გამოქვეყნდება გამოცდამდე სულ მცირე 20 დღით ადრე.

ბ) ზეპირი გამოცდა (ქულების მაქსიმალური რაოდენობა: 34 ქულა) - ხანგრძლივობა 1სთ.

- გასაუბრება იტალიურ ენაზე, ენის ცოდნის დონის განსაზღვრისთვის.
- გასაუბრება ინგლისურ ენაზე პირველი დავალების საგნად მოცემულ ტექნიკურ თემებზე.
- გასაუბრება ქართულ ენაზე, ენის ცოდნის განსაზღვრისთვის.
- კომპიუტერის ცოდნის პრაქტიკული გამოცდა.

<u>გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ კანდიდატი მიიღებს ზღვარის გადალახვისთვის აუცილებელი მინიმალური გამსვლელი ქულების რაოდენობას - 21 ქულას.</u>

12. შერჩევის შედეგები

შესარჩევი პროცედურის დასრულებისას შედგება საბოლოო ცხრილი, რომელშიც მოცემული იქნება კანდიდატების მიერ კონკურსის მსვლელობისას მიღებული ქულები. ცხრილი გამოქვეყნდება სააგენტო ICE-ს ვებგვერდზე.

<u>ზღვარის გადალახვისთვის აუცილებელი მინიმალური გამსვლელი ქულების დადგენილ რაოდენობად განსაზღვრულია 70 ქულა 100-დან.</u>

ერთნაირი რაოდენობის ქულების შემთხვევაში, თანამდებობრივი პოზიციის მისაღებად გათვალისწინებული იქნება მოქმედი წესით განსაზღვრული კრიტერიუმები, რომლებიც კანდიდატს უპირატესობას მიანიჭებს. თუ კანდიდატებს აღნიშნული რეკვიზიტი თანაბარი აღმოაჩნდებათ, უპირატესობა ასაკით უფრო ახალგაზრდა კანდიდატს მიენიჭება. უარის თქმის შემთხვევაში, შერჩეული იქნება კანდიდატების საბოლოო ცხრილში მითითებული მომდევნო კანდიდატი.

ICE – Italian Trade Commission
Trade Promotion Section of the Italian Embassy
Landmark 1, 5° piano
Via Nizami 96E
Tel.: +994 12 4971793/4843/6032
Mob.: +994 51 5853315
Fax: +994 12 4971794
E-mail: baku@ice.it
Web: www.ice.it www.twitter.com/ITABaku
Cod. Fisc. / Part. Iva 12020391004

სააგენტო ICE-ს ბაქოს ოფისი უფლებას იტოვებს, ანალოგიური კვალიფიკაციის პერსონალის საჭიროების შემთხვევაში, ისარგებლოს კანდიდატების საბოლოო ცხრილით.

სააგენტო ICE უფლებას იტოვებს, არ გააფორმოს ხელშეკრულება აღნიშნულ თანამდებობრივ პოზიციაზე შესარჩევი კონკურსის შედეგების მიხედვით. ამასთან, შესარჩევ კონკურსში მონაწილეობა არ იძლევა ხელშეკრულების გაფორმების საფუძველს, კერძოდ, შესაძლებელია შესარჩევი პროცედურა იქნას გაუქმებული ან უარყოფილი, რაც თავის მხრივ, არ იძლევა არანაირი სახის ზარალის ანაზღაურების ან რაიმე მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს.

13. ხელშეკრულების ხელმოწერა

გამარჯვებულმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

1. დაბადების მოწმობა ან მისი შემცვლელი დოკუმენტი, რომელიც გაცემულია ადგილობრივი უწყებების მიერ;
2. ცნობა მოქალაქეობის შესახებ ან მისი შემცვლელი დოკუმენტი, რომელიც გაცემულია ადგილობრივი უწყებების მიერ;
3. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;
4. ცნობა ნასამართლობის არქონის შესახებ ან მისი შემცვლელი ცნობა, რომელიც გაცემულია ადგილობრივი უწყებების მიერ;
5. საგანმანათლებლო დოკუმენტის დამოწმებული ასლი;
6. ბინადრობის მოწმობის ასლი (ეს მოთხოვნა არ ეხება საქართველოს მოქალაქეებს).

მე-6 პუნქტთან დაკავშირებით, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ამ დოკუმენტის წარდგენის გარეშე შეუძლებელი იქნება კანდიდატის სამუშაოზე გაფორმება.

რაც შეეხება ბინადრობის მოწმობის წარდგენის მოთხოვნას, ზოგადად მიღებულია ადგილობრივი კომპენენტური უწყებების მიერ გაცემული ბინადრობის მოწმობის წარდგენა.

იტალიის მოქალაქეებს, რომლებიც უცხოეთში მცხოვრებ იტალიის მოქალაქეთა რეესტრში (AIRE) არიან რეგისტრირებულნი, შეუძლიათ წარადგინონ ამ რეგისტრაციის მოწმობის შემცვლელი ავტოდეკლარაცია.

უცხოური ადმინისტრაციული უწყების მიერ გაცემული მოწმობა ლეგალიზებული უნდა იყოს. უცხო ენაზე გაცემულ დოკუმენტს თან უნდა ერთვოდეს ორიგინალი დოკუმენტის ჯეროვანი თარგმანი.

ICE – Italian Trade Commission
Trade Promotion Section of the Italian Embassy
Landmark 1, 5° piano
Via Nizami 96E
Tel.: +994 12 4971793/4843/6032
Mob.: +994 51 5853315
Fax: +994 12 4971794
E-mail: baku@ice.it
Web: www.ice.it www.twitter.com/ITABaku
Cod. Fisc. / Part. Iva 12020391004

სააგენტო ICE იტოვებს უფლებას, შეამოწმოს საკონკურსო ვაკანსიისთვის დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისობა, ასევე, მიღებული განათლებისა და პროფესიული გამოცდილების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის ნამდვილობა. შეუსაბამობის დადგენა გამოიწვევს სააგენტო ICE-ს მიერ შესარჩევი პროცედურების შეჩერებას, ხელშეკრულების გაფორმების პროცესის შეწყვეტას ან არსებული ურთიერთობის დაუყოვნებლივ გაწყვეტას. გარდა ამისა, კანდიდატის მიმართ გატარდება იტალიის პრეზიდენტის 2000 წლის 28 დეკემბრის N45 დეკრეტის 46-ე მუხლით განსაზღვრული სისხლის სამართლებრივი ზომები.

14. პირადი მონაცემების დაცვა

განაცხადში მითითებული პირადი მონაცემების დამუშავება განხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ კანდიდატის შესარჩევი პროცედურისა და შემდგომში, მისი სამუშაო ადგილზე აყვანის პროცედურების წარმართვის მიზნით, ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 2016/679 რეგულაციის დაცვით.

15. ზოგადი დებულებები

შესარჩევ კონკურსში მონაწილეობა გულისხმობს წინამდებარე საკონკურსო პირობებთან სრულ და უპირობო თანხმობას.
საკონკურსო პირობებთან დაკავშირებული ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია ელექტრონული წერილის გაგზავნით შემდეგ ელ. ფოსტის მისამართზე: baku@ice.it.

საკონკურსო პირობები და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეტყობინება გამოქვეყნდება მხოლოდ და მხოლოდ სააგენტო ICE-ს ბაქოს ოფისის ვებგვერდზე.

სააგენტო ICE-ს ბაქოს ოფისი
დირექტორი
ანდრეა მაკანიკო

Ufficio ICE - Agenzia di Baku
Responsabile
Andrea Mascanico

ICE – Italian Trade Commission
Trade Promotion Section of the Italian Embassy
Landmark 1, 5° piano
Via Nizami 96E
Tel.: +994 12 4971793/4843/6032
Mob.: +994 51 5853315
Fax: +994 12 4971794
E-mail: baku@ice.it
Web: www.ice.it www.twitter.com/ITABaku
Cod. Fisc. / Part. Iva 12020391004